

ალექსანდრე ჯანელიძის დაბადების

130-ე წლისთავისათვის



130 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული გეოლოგიური სკოლის შემქმნელის, საქართველოში მეცნიერული გეოლოგიის ფუძემდებლის, აკადემიკოსის, ალექსანდრე ჯანელიძის, დაბადებიდან.

ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი ა. ჯანელიძის როლი ეროვნული მეცნიერების განვითარებაში. ის იყო დიდი მოღვაწე, რომელმაც ყველა ღონე იხმარა, უმეტესად, საკუთარი ინტერესების საზიანოდ, თვითმყოფადი და ორიგინალურად მოაზროვნე ქართული გეოლოგიური სკოლის შესაქმნელად.

ალექსანდრე ჯანელიძე დაიბადა 1888 წლის 24 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიის სოფ. ნიკორწმინდაში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1906 წელს ექსტერნის წესით ჩააბარა გამოცდები სიმწიფის ატესტატზე და იმავე წელს გაემგზავრა ჟენევაში. 1907 წელს შევიდა სორბონის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1910 წელს. 1911 წელს ა. ჯანელიძე დაბრუნდა სამშობლოში და 4 წლის განმავლობაში ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას ქუთაისის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში. რადგან უცხოეთის დიპლომს რუსეთში ძალა არ ჰქონდა, 1915 წელს ყაზანში გაემგზავრა და უნივერსიტეტში სწავლისა და პირველი ხარისხის დიპლომის მიღების შემდეგ იგი გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე დატოვეს ასისტენტად. 1917 წლის თებერვალში ა. ჯანელიძე კვლავ დაბრუნდა საქართველოში და ასწავლიდა ფიზიკას თბილისის ქართულ გიმნაზიაში. მან გამოაქვეყნა ფიზიკის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

1918 წელს იგი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ. შემდგომ, უნივერსიტეტის დავალებით, იგი ხანგრძლივი მივლინებით გაემგზავრა საფრანგეთსა და გერმანიაში. სამი წლის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ეს იყო პირველი საბუნებისმეტყველო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1924 წელს ა. ჯანელიძე უნივერსიტეტის გეოლოგიისა და

პალეონტოლოგიის კათედრის გამგედ აირჩიეს. შემდგომ, ანალოგიური კათედრა მან შექმნა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც და მრავალი წლის განმავლობაში მისი პირველი გამგე იყო.

ალექსანდრე ჯანელიძე უსაზღვროდ განათლებული და ერუდირებული, ამასთანავე უმაღლესი ზნეობის მქონე პიროვნება გახლდათ. ძირითადი, რაც ახასიათებდა ალექსანდრე ჯანელიძის მეცნიერულ შემოქმედებას, ეს იყო საკვანძო მეცნიერული პრობლემების თავისებური ხედვა და მათში ღრმა წვდომის უნარი.

ალექსანდრე ჯანელიძის გამოკვლევები ეხება გეოლოგიური მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგს, მაგრამ პირველ რიგში, პალეონტოლოგიას, სტრატეგრაფიას, ტექტონიკის მრავალ პრობლემასა და თეორიულ გეოლოგიას. გეოლოგიის გარდა, მას დიდად აინტერესებდა ფიზიკისა და ბიოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, მეცნიერების ისტორიის, ქართველი ერისა და ქართული ენის პრობლემები. ჯერ კიდევ 1921 წელს, საფრანგეთში, ქ. გრენობლში ყოფნისას, მან შექმნა უნიკალური პალეონტოლოგიური შრომა „სპიტიცერასების“ შესახებ. შემდეგ კი, საქართველოში აღწერა ამონიტების სრულიად ახალი გვარი, რომელსაც „კოლხიდიტეს“ უწოდა. ეს გვარი ამ სახელწოდებით შევიდა მსოფლიოს პალეონტოლოგიურ ლიტერატურაში. მისი მრავალი შესანიშნავი შრომიდან აღსანიშნავია: „მთების წარმოშობის საკითხისათვის“, „ოროგენის დაბადება“, „ატლანტური ოკეანის პრობლემა“, „ოროგენეტური ფაზისების თეორია დღეს“, „საქართველოს ტერიტორია ალპურ ოროგენულ სისტემაში“, „გრანიტისა და მაგმის პრობლემა“, „საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების საკითხისათვის“, „კონტინენტების წარმოშობის პრობლემა“, „დანაოჭება და სედიმენტაცია“ და სხვა.

ალექსანდრე ჯანელიძემ უდიდესი ღვაწლი დასდო თეორიული გეოლოგიის განვითარებას. საკმარისია აღინიშნოს, მაგალითად, მისი მრავალწლიანი გამოკვლევები ტექტონიკის დარგში. ჯერ კიდევ 1949 წლის შრომაში, „ოროგენის დაბადება“, მის მიერ გამოთქმული შეხედულებები წყნარი ოკეანის დასავლეთ პერიფერიაზე ოროგენის დაბადებისა და მასთან დაკავშირებული ვულკანიზმის, მიწისძვრათა სეისმოფოკალური ზონებისა და სხვათა შესახებ, თანამედროვე ახალი უნივერსალური გეოლოგიური თეორიის „ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის“ მნიშვნელოვან პოსტულატებს შეიცავს.

დიდია ალექსანდრე ჯანელიძის ღვაწლი გეოლოგიური კადრების მომზადებაში, რასაც სიცოცხლის დიდი ნაწილი შესწირა. ის იყო ბრწყინვალე ლექტორი და ორატორი, შესანიშნავი მოქართულე. ქართული გეოლოგიური ტერმინოლოგია, ფაქტობრივად, მისი შექმნილია. თავად ბატონ ალექსანდრეს აქვს ნათქვამი: „ნამდვილი ლექცია შემოქმედება არისო“ და, მართლაც, თითოეული მისი ლექცია ნამდვილი შემოქმედება იყო. მაგრამ განსაკუთრებით დიდი სკოლა, ჩვენ, იმ დროის ახალგაზრდებმა, გავიარეთ ე.წ. „მცირე სემინარებზე“, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტის 120-ე აუდიტორიაში ტარდებოდა. იგი თავისებური ხერხებითა და მეთოდებით აზროვნების ორიგინალურ სტილს გვინერგავდა. როგორც წესი, შენს დასკვნებს ეჭვქვეშ აყენებდა და გაიძულებდა ახალი არგუმენტების მოშველიებით დასკვნები უფრო დამაჯერებელი გამხდარიყო.

შიეძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ჯანელიძე იყო საყოველთაოდ განთქმული მეცნიერი, რომელიც თავისი შრომების უმრავლესობას ქართულად აქვეყნებდა. ეს მისი პრინციპი იყო. იგი თვლიდა, რომ ქართული ტერმინოლოგიის შექმნასთან ერთად, უნდა აღზრდილიყო ქართულად მოაზროვნე გეოლოგების თაობა. მას არასოდეს უფიქრია სახელის მოხვეჭაზე. მისი სიცოცხლის ძირითადი მიზანი ქართულ მეცნიერების განვითარება და თავისი ხალხის უანგარო სამსახური იყო.

ა. ჯანელიძე ოცდაათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მის მიერ 1925 წელს შექმნილ გეოლოგიის ინსტიტუტს. მისი ინიციატივით შეიქმნა აგრეთვე საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება, რომელსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უძღვებოდა. მან გამოჩენილ მეცნიერთა მთელი თაობა აღზარდა.

სახელოვანი მეცნიერი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებას, იყო ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მისი პრეზიდიუმის წევრი. მეორე მსოფლიო ომის დროს ა. ჯანელიძე თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო.

ასეთი იყო, და ასეთად დარჩება აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე, დიდი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ჭეშმარიტი პატრიოტი მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების, მთელი მეცნიერული საზოგადოების ხსოვნასა და ქართული მეცნიერების ისტორიაში.

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე

